ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

7-8

2000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბასა ჯანიკაშვილი

ჩვენს ეზოში

პიესა სამ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

სანდრო ძია – ფსიქოლოგი
ნინო – ლევანის მეუღლე და ქეთის და
ლევანი – ნინოს ქმარი და გიორგის ძმა
ქეთი – გიორგის მეუღლე
გიორგი – ქეთის ქმარი
ლევანიკო – ქეთის და გიორგის შვილი
ნინიკო – ლევანიკოს შეყვარებული
ბაბა შურა – უცხოპლანეტელი
ჯადოქარი
ჯარისკაცი – რომელიც არაფერ შუაშია
აუღელვებელი ახალგაზრდები და პოლიციელები

სცენაზე დგას რამდენიმე ქოხი, სადაც ოჯახებად ნინო და ლევანი, ქეთი, გიორგი და ლევანიკო, სანდრო ძია და ბაბა შურა ცხოვრობენ. შუაგულში შადრევანია, რომელიც არ მუშაობს. იქვე დგას გრძელი სკამი. ავანსცენაზე და სახლების უკან სამანქანო გზა გადის.

პირველი მოქმედება

1.

ლევანიკო და ნინიკო ზურგჩანთებით სკოლისკენ მიიჩქარიან. სანდრო ძია პურითა და რძით დატვირთული მაღაზიიდან შინ ბრუნდება. ახალგაზრდებით გაძეძგილი მანქანა სცენაზე ჩაიქროლებს, მათ პოლიციელები მოსდევენ. ნინოს და ლევანის სახლი. ისინი ოთახში დადიან და ხიზილალას მიირთმევენ.

ლევანი – ხიზილალა ჭამე, სასარგებლოა.

ნინო – ლევან, ხიზილალა არ არის სასარგებლო.

ლევანი – ცე ვიტამინია.

ნინო – ვინ გითხრა ეგ სისულელე?

ლევანი – რაც წითელია და მჟავეა, ყველაფერში ცე ვიტამინია.

ნინო – ლევან...

ლევანი –რა ვიცი აბა, ეტყობა, ხიზილალაში ბევრი ვიტამინი უნდა იყოს. ხიზილალა ისეთი საჭმელია, რომ გეგონება ვიტამინებითაა სავსე. მისი ჭამა ერთი სიამოვნებაა, ვიტამინები კი მეორე. მე მაინც მგონია, რომ ხიზილალაში ბევრი ვიტამინია.

2.

ბაბა შურას ქოხი. შურა რაციით უცხოპლანეტელებთან კონტაქტზე გასვლას ცდილობს.

ბაბა შურა –უფო, უფო, გესმით ჩემი?.. უფო, უფო, გესმით ჩემი?.. მე ბაბა შურა ვარ, თქვენგან დიდი ხნის წინ მიტოვებული, დაგდებული და დაბეჩავებული. გესმით ჩემი, მიპასუხეთ, „პრიომ"!

რამდენიმეჯერ იმეორებს ერთსა და იმავეს. შიგადაშიგ ბუზებს იგერიებს.

3.

სავარძელში რბილად მოკალათებული ქეთი და გიორგი. ერთმანეთს ჩახუტებულები ტელევიზორს უსხედან და ჩხუბობენ.

ქეთი – შენ მე არასდროს გიყვარდი.

გიორგი – შენ მე არასდროს გიყვარდი.

ქეთი – მეტიც, მაშინ, როდესაც ჩემი და გათხოვდა შენს ძმაზე, ის გიყვარდა და მე იმ სიყვარულის ხათრით მომიყვანე ცოლად. ახლაც ის გიყვარს.

გიორგი – ახლაც ის გიყვარს.

ქეთი – ნუ იმეორებ თუთიყუშივით!

გიორგი – შენ, შენ გიყვარდი?.. შენ ჩემი ძმა გიყვარდა. მეც იმიტომ გამომყევი ცოლად, რომ ჩემი ძმა გიყვარს. სადისტო! **(ტირის)**

ქეთი – **(იცინის)** სადისტო?

გიორგი – ვიცი, როგორ ვერ მიტან!..

ქეთი – ვიცი, როგორ ვერ მიტან!..

გიორგი – ნუ იმეორებ თუთიყუშივით!

ქეთი – შენ, შენ მე არასდროს გიყვარდი!

გიორგი – **(ტელევიზორს სხვა არხზე გადართავს)** ეს ფილმი გუშინ ღამით აჩვენეს, და ბოლომდე არ მინახავს, დამეძინა.

ქეთი – რა იციან ამ კინოების ასე გვიან გაშვება?

გიორგი – შენ მე არასდროს გიყვარდი.

ქეთი – მეტიც, ჩემი და ნინო რომ გათხოვდა, ის გიყვარდა და მისი ხათრით, მე მითხოვე. ახლაც ის გიყვარს!

გიორგი – ეს შენ უკვე თქვი.

ქეთი – მართლა?

გიორგი – ახლაც ის გიყვარს...

ქეთი – თუთიყუშივით ნუ იმეორებ.

გიორგი – შენ, შენ თუ გიყვარდი? მე კი არა, შენ ჩემი ძმა ლევანი გიყვარს და ცოლადაც იმიტომ გამომყევი, რომ მასთან ასე უფრო ახლოს იქნებოდი. ახლაც ის გიყვარს... **(ტირის)**

ქეთი – მე ვარ სადისტი?.. **(იცინის)**,

გიორგი – როგორ,ვერ მიტან, გგონია არ ვიცი?

ქეთი – ამ ფილმში ყველაზე მეტად ეს მომენტი მიყვარს.

გიორგი – მე მგონი ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან ამბებზე ვსაუბრობთ. მე მგონი ჩვენი ცხოვრება ამ კინოზე გაცილებით საინტერესოა.

ქეთი სავარძლიდან ნელ-ნელა წამოიწევს, და ასე ვთქვათ, გაფრინდება.

ქეთი – ამოფრინდი თუ გინდა.

გიორგი – ახლა ამის დრო არ არის, ქეთი.

ქეთი – ამოფრინდი, სულელო...

გიორგი – ახლავე.

გიორგი ქეთის მიბაძავს და ისიც აფრინდება. ერთხანს ცოლ-ქმარი ოთახში დაფრინავს.

ქეთი – ხიზილალა გიყვარს, გიორგი?

გიორგი – ისე რა, რატომ მეკითხები?

ქეთი – ჩვენი მეზობლები, ჩემი და და შენი ძმა ახლა დადიან და ხიზილალის მიირთმევენ. მათ ძალიან უყვართ ხიზილალა.

გიორგი – იცი, რაზე საუბრობენ?

4.

ნინო და ლევანი სახლიდან ჩუმად ეზოში იცქირებიან. შადრევანთან სკოლიდან გამოპარულები შემოდიან – ლევანიკო და ნინიკო. სკამზე სხდებიან.

ნინო – მე ვარ ნინო და მე ვარ ლევანის ცოლი.

ლევანი – მე ვარ ლევანი და ჩემი ცოლია ნინო.

ნინო – თითქოს ჩვენს სიყვარულს ხელს არაფერი უნდა უშლიდეს. შენი მშობლები ცოცხლები აღარ არიან, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, მაგრამ...

ლევანი – ხანდახან იცი რაზე ვფიქრობ?

ნინო – მაგრამ... შენ ჩემი ხარ და მეტი არავისი. შენ სხვისი ვერასდროს გახდები!

ლევანი – მათ უკვე ერთი შვილი ჰყავთ. ჩვენ კი არცერთი...

ნინო – ისინი მთელი ცხოვრება ჩვენ გვბაძავენ.

ლევანი – ლევანიკო და ნინიკო... ნახე, ერთმანეთს „სამკუთხედებს" და კატლეტებს აჭმევენ?

ნინო – მთელი ცხოვრება გვბაძავენ...

ლევანი – რა ქნან, როგორ მოიქცნენ?

ნინო – ყველას ჰგონია, რომ ჩვენ ბავშვობიდან გვიყვარს ერთმანეთი...

ლევანი – და შემდეგ, როდესაც გავიზარდეთ, ერთმანეთს პირველად ვაკოცეთ...

5.

ეზოში, შადრევანთან სკამზე ლევანიკო ნინიკოს კოცნის. დიდხანს კოცნის, ხელებზე და თმებზე ეფერება, შემდეგ, როდესაც ლევანიკო ნინიკოს კაბის გახდას დაუპირებს, ნინიკო განერიდება.

ლევანიკო – მე დღეს შენთვის სკოლიდან კატლეტები მოვიპარე.

ნინიკო – ლევანიკო...

ლევანიკო – არა, კი არ მოვიპარე, ვიყიდე და შენ მოგიტანე...

ნინიკო – მე კიდევ „სამკუთხედები" წამოგიღე. იცი, რა კარგი ნამცხვარია? შიგნით პავიდლო აქვს – ვაშლის.

ლევანიკო – მადლობთ, ვაშლში ბევრი რკინაა.

ნინიკო – ვაშლში რკინა როგორ იქნება?

ლევანიკო – **(იცინის)** რკინა? ის რკინა კი არა, რკინა ვიტამინს ჰქვია, ვიტამინი კი ორგანიზმისათვის სასარგებლოა.

ნინიკო – მე კი მგონია, რომ ამ ნამცხვარში არც რკინაა და არც ვიტამინი. აქ ვაშლის ჯემია და გემრიელია.

ლევანიკო ნინიკოს კოცნის, დიდხანს კოცნის. როდესაც ხელს კაბის ქვეშ შეაცურებს, ნინიკო განერიდება.

ლევანიკო – მე „სამკუთხედს" ჩავკბიჩავ, შენ კატლეტები... აუ, სულ აიზილა ერთმანეთში...

ნინიკო – არა უშავს, ასე უფრო გემრიელია.

ლევანიკო – მე „სამკუთხედს" შევჭამ, შენ, კატლეტი ჭამე...

6.

სანდრო ძიას ქოხი. მასთან სეანსზე ბაბა შურაა მისული.

სანდრო – რას ხედავთ ამ შავ წერტილში, ჭერზე მიუთითებს, ეს ფსიქოლოგიური წერტილია. შეხედეთ იქ... დააკვირდით... რას ხედავთ?

შურა – თქვენს სახლში უცხო სხეულია. ის არაამქვეყნიურია, არაადამიანია...

სანდრო – ვინ არის?

შურა – არაადამიანი, უცხოპლანეტელია.

სანდრო – განაგრძეთ, განაგრძეთ...

შურა – მიჭირს...

სანდრო – ნუ გერიდებათ.

შურა – მორიდება რა საკადრისია.

სანდრო – მართალია, მაშ რატომ მერიდება?

შურა – თქვენ გერიდებათ, თუ მე?

სანდრო – დავიბენი უკვე. სად ვიყავით გაჩერებული?..

შურა – შავ წერტილს უყურებდით.

სანდრო – მართალია.

შურა – მე ვხედავ შავ წერტილს. იქ, იქ – თეფშია. ჰო, მფრინავი თეფში! უფო, უფო!

სანდრო – ნურაფერს დამიმალავთ, მე ვცდილობ დაგეხმაროთ.

შურა – იცით, მე დედამიწაზე დიდი ხნის წინ ჩამომსვეს, მითხრეს ერთ კვირაში გამოგივლითო და ჯერ არ მოსულან.

სანდრო – მერე, ამას რა სჯობია?

შურა – რა ვქნა, რა ვილონო, არ ვიცი...

სანდრო – როგორ მოგწონთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქალაქი, ჩვენი უბანი, საერთოდ – დედამიწა?

შურა – სიმართლე გითხრათ?

სანდრო – არაფერი არ დამიმალოთ...

შურა – იცით...

სანდრო – აბა, თამამად...

შურა – მერიდება კიდეც...

სანდრო – თქვენ აქ იმიტომ მოხვედით, რომ ჩემგან დახმარება, სპეციალისტის რჩევა გჭირდებათ, მხოლოდ ამ შავ წერტილს თვალი არ მოაცილოთ.

შურა – რა ვიცი, აბა...

სანდრო – მაშინ [illegible]

შურა – მომკლეს ამ [illegible] ებმა, ტარაკნებმა, თაგვებმა და კოლოებმა!

სანდრო – თვალი არ მოაცილოთ...

შურა – უკაცრავად...

სანდრო – ჩვენში კოლოები რომ არ იცის?

შურა – წასვლა მინდა, ჩემს პლანეტაზე მინდა წასვლა. ყოველ დღე ვუკავშირდები და არავინ მპასუხობს. ამ ქვეწარმავლებისგან ისეთი შიში დამეწყო, რომ არ ვიცი.

სანდრო – რისი გეშინიათ?

შურა – მეშინია, მეშინია...

სანდრო – დამშვიდდით და მითხარით, რისი გეშინიათ, შავ წერტილს თვალი არ მოაცილოთ.

შურა – მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია, ყველაფრის მეშინია. მზე ამოვა – მეშინია, წვიმა მოვა – მეშინია.

სანდრო – წვიმის მეც მეშინია. სახურავზე კრამიტია აყრილი და წყალი რომ ჩამომივიდეს ამ შავ წერტილს წამიშლის.

შურა – ვილაც ეზოში რომ შემოვა – მეშინია.

სანდრო – აი, მაგალითად... ჩვენს ეზოში რომ შადრევანია, ის რომ ამუშავდეს, არ გეშინიათ?

შურა – მეშინია, მეშინია, მეშინია...

სანდრო – გახდით ჩემი ცოლი!

7.

საღამოა. ნინო და ლევანი ეზოში სეირნობენ

ლევანი – მეორეს მხრივ, ჩვენ ბედნიერი ცოლ-ქმარი ვართ. ჩვენ ერთმანეთი ქორწილამდეც გვიყვარდა და ახლაც გვიყვარს. ამბობენ, რომ ბედნიერება წამიერია, მაგრამ თურმე არა. ხედავ, რამდენი წელია გრძელდება?

ნინო – ჩვენ სულ ერთსა და იმავე თემაზე ვსაუბრობთ.

ლევანი – ჩემი ძმა და შენი და უბედურები არიან. არ ვიცი, რითი შეიძლება დაეხმაროს კაცი...

ნინო – შენ რომ ასეთი მზრუნველი და კეთილი მყავხარ, ამიტომ მიყვარხარ. შენ არაჩვეულებრივი გულის პატრონი ხარ. იყალთოში ახალგაზრდას საფლავია, რომელსაც აწერია – „კეთილი გულის ბიჭი". შენს საფლავის ქვასაც ასე დავაწერ – „კეთილი გულის ბიჭი"... რა ნეტარია შენთან გატარებული ყოველი წუთი...

ლევანი – ნინო, ეს შენი სიტყვები არ უნდა იყოს?..

ნინო – მართალია, ჩემი სიტყვები არ არის, ვიღაც პოეტისაა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? პოეტმა ეს მე მითხრა, მე კი შენ გეუბნები.

ლევანი – ყველაზე მართალი ახლა ის იქნება, რომ მე ვიეჭვიანო. ნინო, ვინ გითხრა ეს სიტყვები?

ნინო – რა მნიშვნელობა აქვს?..

ლევანი – ნინო!..

ნინო – ნუ ეჭვიანობ, კეთილი გულის ბიჭო, წიგნში ამოვიკითხე.

ლევანი – წიგნში?

ნინო – წიგნში.

ლევანი – და ვისთანაც ამოიკითხე, ისინი ცოცხლები არიან?..

ნინო – სულელო, ახლა პოეტები ასეთ ლექსებს აღარ წერენ.

ლევანი – გიხაროდა რომ ვეჭვიანობდი?

ნინო – ძალიან.

ლევანი – (**პაუზის შემდეგ**). ახლა რას წერენ პოეტები?..

ახალგაზრდებით დატვირთული მანქანა, რომელსაც პოლიცია მოსდევს, ეზოში ჩაიქროლებს. ლევანი და ნინო სახლში მიიმალებიან.

8.

დილაა. ლევანიკო და ნინიკო ერთმანეთს შადრევანთან ხვდებიან და სკოლისაკენ მიიჩქარიან. სანდრო ძია ქოხიდან გამოდის და ბაბა შურას ქოხის ფანჯრებთან, ყანწით ხელში მუხლებზე დაემხობა.

სანდრო – ქალბატონო შურა, ქალბატონო შურა... უფო, ქალბატონო შურა... მფრინავი თეფშები, პოლტერგეისტები და უცხო სხეულები, ქალბატონო შურა... აგენტები... მფრინავი შეუცნობელი ობიექტები... მთელი ღამე ვკითხულობდი, ასე ვთქვათ, ვეცნობოდი ლიტერატურას, რაც მოგვეპოვება, ქალბატონო შურა... მე მაპატიეთ... ამ სასმისით მე დიდი დავით აღმაშენებლის სადღეგრძელო მინდა შევსვა. მოდი, გაუმარჯოს იმ დიდ მამულიშვილურ საქმეს, რომელსაც ეს კაცი შეეწირა. როგორც იტყოდა, შავ წერტილს შეხედე და იქ იპოვნი არზრუმის კარიბჭესო... შენი ჭირიმე დავით. ყველამ ერთად ფეხზე ადგომით შევსვათ დიდი სადღეგრძელო. ჩვენი პიესის ავტორის სადღეგრძელო. ჩემს ბასას გაუმარჯოს, შენი ჭირიმე ჩემო ბასა, შენ რომ არა, ვინ ვიქნებოდით დღეს ჩვენ. აბა, შენმა ნიჭმა და შრომისმოყვარეობამ, ლაზათიანმა სტუმარ-მასპინძლობამ და კაი სიტყვის თქმამ მოგვატანინა დღევანდელი დღე. შენი ჭირიმე ბასა, შენ გენაცვალე. როგორც დიდი დავითი იტყოდა – ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო, აი, ამას გაუმარჯოს... (**სვამს**).

შურა – ამასობაში ფანჯრიდან იცქირებოდა. ღმერთო, რა კარგი სიტყვები ითქვა?..

სანდრო – მე მაპატიეთ, მე მაპატიეთ.

9.

ახალგაზრდებს კვლავ პოლიცია მოსდევს. მათი მანქანები ჯერ ქოხების უკან მიმავალ გზაზე ჩაიქროლებენ, შემდეგ ეზოში შემოიჭრებიან, შადრევანს ერთ წრეს შემოუვლიან და მიიმალებიან. სანდრო ძია გადის. ნინიკო და ლევანიკო ეზოში შემოიპარებიან, სკამზე სხდებიან და იწყებენ ჭამას.

ლევანიკო – ჩემს დედას ქეთი ჰქვია, მამას კი გიორგი.

ნინიკო – მე კი არ მყავს მშობლები. მე უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე და სულ მშია. ახალ წელს ჩვენთან ქალაქიდან ცნობილი ხალხი ჩამოდიოდა და საჩუქრებს გვირიგებდა. მერე, პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის დღე რომ არის, მაშინაც ამოდიოდნენ ქალაქიდან და ამოჰქონდათ კამფეტები, სათამაშოები, ფერადი ფლომასტერები, რომ ნახატები გაგვეფერადებინა. კიდევ იცი რა ამოჰქონდათ, აბა, თუ მიხვდები?

ლევანიკო – გემრიელი კატლეტია, მმმ...

ნინიკო – ვერ მიხვდები. ცოტა მეც დამიტოვე.

ლევანიკო – ყველას გვეყოფა.

ნინიკო – ჩვენთან ნანი ბრეგვაძე მოსულა, ვახტანგ კიკაბიძეც, რეზო ლაღიძეც ღიღინით „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო"...

ლევანიკო – რეზო ლაღიძეც?

ნინიკო – ჰო, რეზო ლაღიძეც და ნოდარ ახალკაციც, ედუარდ შევარდნაძეც და რაზუმოვსკიც. რო ამოდიოდნენ, ყველანი ტიროდნენ. ჩვენ ვიცინოდით, ისინი კი ტიროდნენ. ჩვენ გვიხაროდა, ისინი მაინც ტიროდნენ. აი, ასე იიიი-იიიი, იიიი-იიიი, აბა?!

ლევანიკო – ამბობენ, რომ თუ ბევრ კატლეტს შეჭამ, დიდი ბიჭი გაიზრდები, ლამაზი, გოგოებს მოეწონები და...

ნინიკო – და?..

ლევანიკო – და მერე, ბევრ გოგოს რომ მოეწონები, შენ არცერთი არ მოგეწონება. შენ ის მოგეწონება, ვისაც არ მოსწონხარ.

ნინიკო – ვისაც შენ არ მოსწონხარ, კატლეტები არ უყვარდა, (**გარბის**).

ლევანიკო – სად მირბიხარ, ჯერ ხომ არ გვიკოცნავია?

10.

ქეთის და გიორგის ქოხი. ქეთი, გიორგი, შემდეგ ნინო და ლევანი.

ქეთი – ზარია, გააღე კარი.

გიორგი – შენთან იქნებიან.

ქეთი – გიორგი!

გიორგი – ქეთი!

ქეთი კარებს აღებს. შემოდიან ნინო და ლევანი.

ქეთი – მობრძანდით, მაგრამ ასე გაუფრთხილებლად რატომ?..

ლევანი – მოგვენატრეთ, მონახულება მოგვინდა.

ქეთი – მომიკვდეს თავი. „ტარტალეტკები" მაინც გამომეცხო გიორგი?..

გიორგი – ყველაზე მეტად იცი რა მიყვარს? სადმე ქეიფში რომ მიდიხარ და მაყალზე მწვადი რომ იწვება, რომ ელოდები იმ მწვადს და მანამ ნარდს რომ „აგორებ", აი, ეს მიყვარს.

ლევანი – მე იცი რა მიყვარს ჩემო ძმაო?

გიორგი – ვიცი.

უხერხული სიჩუმე.

ლევანი – არა, მე სხვა რამის თქმა მინდოდა.

ქეთი – ახლავე „ ტარტალეტკებს" გამოვაცხობ.

ნინო – ნუ შეწუხდები დაო. ჩვენ მალე წავალთ.

ქეთი – მე და გიორგი სიურპრიზს გიმზადებთ.

გიორგი – მართლა.

ლევანი – მართლა, რას?

ნინო – ვაიმე რა საინტერესოა? ლევანიკოს და ნინიკოს თავებს ხომ არა?

ლევანი – არაჩვეულებრივი საჩუქარია.

გიორგი – ხიზილალა მაინც მიართვი სტუმრებს.

ნინო – არ არის საჭირო, ჩვენ მალე წავალთ.

ქეთი – გიორგი მიმტკიცებს, რომ ხიზილალაში ბევრი ვიტამინია. გაგიგიათ ასეთი რამე?

გიორგი – აბა რა, ხიზილალას ჭამა ერთი სიამოვნებაა, ვიტამინებისა კი მეორე. წარმოიდგინე, რკინის ყუთში თავშეყრილი ხიზილალას ყვითელი ბურთულები, ისეთი ნაზი და უსუსური... დანის წვერით რომ გაუჭრი გემრიელ სხეულს, რუხ პურზე რომ წაუსვამ და სანამ ჩაკბეჩდე, კიდევ ერთხელ დახედავ, ეს ყველაფერი მოჩვენებაა თუ არა? ყბის ინტენსიური მოძრაობა ... ჩვენს სასასა და ენას შორის მოგიხვევებთ და... ტკაცა! შენს პირში ხიზილალას ცე ვიტამინები თავს იხრჩობენ.

ნინო – რა არაჩვეულებრივია... მეც უნდა გავსინჯო.

ლევანი – გუშინ ჩვენი მშობლების გარდაცვალების ხუთი წლისთავი იყო. როგორ დაგავიწყდა, ძმაო?

გიორგი – ვერ გამახსენე?

ნინო – მე თუ მკითხავთ, გარდაცვლილი მშობლები გაცილებით საყვარელი და საინტერესონი არიან, ვიდრე ცოცხლები. მკვდარი დედ-მამა უფრო გვენატრება, უფრო გვიყვარს, უფრო, უფრო... რაღაც... თან, როდესაც ცოცხალი აღარ არის მშობელი, არ იცი, რა რეაქცია ექნება სხვადასხვა ამბებზე. შენც უფრო თავისუფალი ხარ და ამასობაში... არ ვიცი როგორ აგიხსნათ. რას მომჩერებიხართ? რაიმე ისეთი ვთქვი?

ლევანი – წამოდი ნინო სახლში.

ნინო – კარგი რა ლევან, რა ვთქვი ისეთი?

ლევანი – სახლში დაგელაპარაკები.

ქეთი – გიორგიმ ლექსების წერა დაიწყო.

ნინო – მართლა? წაგვიკითხე?

ლევანი – წამოდი ნინო სახლში!

ქეთი – ლევან, იცი რა კარგ ლექსებს წერს შენი ძმა? აი, მაგალითად: რა ნეტარია შენთან გატარებული ყოველი წუთი... მერე არ მახსოვს.

უხერხული სიჩუმე.

ნინო – ეგ გიორგის სიტყვები არ არის?

ქეთი – თავისას გვეტყვის.

გიორგი – ქეთიმ იხუმრა.

ნინო – გი-ო, გი-ო, გი-ო!

ლევანი – თქვი ძმაო და წავიყვან ამ ქალს სახლში!

გიორგი – **მძიმე პაუზის შემდეგ სკამზე დგება, შარვალს გაიხდის და საცვლების ამარაა**

„ახლა როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება. სიო სარკმლით მონაქროლი ველთა ზღაპარს მეუბნება. მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს, სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს".

ლევანი – შარვალი რატომ ჩაინიე?

გიორგი – არ უნდა მექნა.

ლევანი – მე მგონი არ ღირდა. ლექსი ისე უფრო საინტერესო იქნებოდა.

გიორგი – მაშინ კიდევ ერთხელ წავიკითხავ.

ნინო – გი-ო, გი-ო, გი-ო!

ქეთი – მე ვიხუმრე, გიორგის მართლა დაუწყია ლექსების წერა.

გიორგი – „მთას ვიყავ, მწვერვალზედ ვიდეგ თვალთ ნინ მეფინა ქვეყანა, გულზედ მესვენა მზე – მთვარე, ვლაპარაკობდი...

ლევანი – ღმერთთანა.

გიორგი – ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

ქეთი – როდის დაიწყე ლექსების წერა?

გიორგი – სულ ახლახან ჩემო ქეთი, მუზამ დამკრა თავში რეტი.

11.

ბაბა შურას ქოხი.

შურა – აი, ახლა ამ სათაგურში ყველის ნამცეცს ჩავდებ. აი, ახლა ამ სათაგურს, რომელშიც ყველის ნამცეცი ჩავდე, თაგვის ხვრელთან მივიტანე. აი, ახლა ამ სათაგურში, რომელშიც ყველის ნამცეცი ჩავდე და თაგვის ხვრელთან მივიტანე – თაგვი შეჭამს. აი, ახლა ამ სათაგურში, რომელშიც ყველის ნამცეცია, თაგვმა რომ შეჭამოს აქ დავდებ...

ხვრელიდან გამოვარდება უზარმაზარი ვირთხა, ოთახს გადაჭრის და სხვა სოროში მიიმალება.

შურა – ვაიმე, მიშველეთ! რაციასთან მიირბენს. უფო, უფო, გესმით ჩემი, უფო! უფო! მეტი აღარ შემიძლია, წამიყვანეთ აქედან, უფო, ბაბა შურა ვარ, გესმით ჩემი, „პრიომ".

შემორბის სანდრო ძია ყანწით ხელში.

სანდრო – მოდი, ამ ჩახუტებას გაუმარჯოს, ამ გემოვნებიან სტუმართმასპინძლობასა და მშვენიერ ოჯახს, რომლის ყველა წევრი იმ წერტილს უცქერს, საიდანაც მოვიდნენ. ეს შავი წერტილი, ჩემი წერტილია. ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, რომ ფსიქოლოგი მთავარია აქ. შეხედეთ ამ ყანწს, შეხედეთ. რას ხედავთ? თქვენ ხედავთ შავ მზეს, თეთრ ნვიმას და წითელ ფეხსაცმელებს. ისინი მოდიან, მოდიან, მოდიან... კიდევ, კიდევ ხედავთ დიდ ყუთს, რომელშიც... ღმერთო...

შურა – დაწყნარდით, დამშვიდდით. გთხოვთ მეტი აღარ დალიოთ.

სანდრო – მოდით, „თქვენობით" ფორმას თავი დავანებოთ და „შენობითზე" გადავიდეთ.

შურა – მე დიდი ხანია ამის თქმას ვაპირებდი...

სანდრო – მაშინ მოდი დიდ სტალინს გაუმარჯოს, ტყუილად არ უთქვამს იმ კაცს – ენა, მამული და იდეის ერთგულებაო. აი, ამას გაუმარჯოს, როგორი სიყვარულითაც მე ამ ოჯახს [illegible], როგორი მოწიწებითაც [illegible] თქვენი მანდილის წინაშე, როგორ ერთგულად და უანგაროდ ემსახურება ქართული დედის, გიჟი დედის პატიოსნებას, ერთად, ფეხზე ადგომით შევსვათ კაკაბაძეების სადღეგრძელო, გაუმარჯოს! (**სვამს**)

შურა – უიმე?..

12.

საღამოა. შეიძლება ღამეა კიდეც. ქეთი და გიორგი ეზოში სეირნობენ.

გიორგი – რა კარგი ამინდია, არა, ქეთათო?

ქეთი – რატომ მეძახი ქეთათოს, ხომ ვიცი, რომ მაგას ძალით ამბობ?

გიორგი – აბა რა დაგიძახო?..

ცემს, ურტყამს და ისევ ცემს. ქეთი ძირს ეცემა და ტირილს იწყებს. ხმაურზე ნინოს და ლევანის ფანჯრებში შუქი ინთება. გიორგი სკამზე ჩამოჯდება.

გიორგი – მგონი ლექსი დავწერე, ქეთათო.

ქეთი ტირის.

– წაგიკითხო?.. „მთაწმინდა ჩაფიქრებულა შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,

მნათობი სხივებს მაღლა ჰფენს თავდადებულის საფლავსა". როგორია?

ქეთი – (**ტირილს მორჩება, წამოდგება**). რატომ არ უთხარი რაც სათქმელი გვაქვს? რატომ არ უთხარი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეგვიძლია, რატომ არ უთხარი, რომ ჩვენ ისინი გვიყვარს?

გიორგი – არ დაგვიჯერებდნენ...

ქეთი – სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ!

გიორგი – ნახე, ქეთი, კიდევ ერთი ლექსი დავწერე: „მირბის მიმაფრენს უგზო უკვლოდ ჩემი მერანი, უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი..." **ტირის.**

13.

დილაა. ნინოს და ლევანის ქოხში დევს ყუთი.

ლევანი – ამ ყუთში რაღაც უნდა იყოს. გული ცუდს მიგრძნობს.

ნინო – საიდან იცი?

ლევანი – ლოგიკურად, როდესაც საკუთარ სახლში უცნობ ყუთს ხედავ, იქ რაღაც უნდა იდოს. ასე არ არის?

ნინო – ვნახავ, რა მოგვართვეს ჩვენმა მეზობლებმა. ყუთს ხსნის და ამოალაგებს ლევანიკოს და ნინიკოს მოჭრილ თავებს. (**კივილით**). აქ პატარა ლევანიკოს და ნინიკოს თავებია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევანი – ვაიმე!

ნინო – მეც ეგ მაოცებს. შეხე, ლევანიკო და მისი შეყვარებული.

ლევანი – კარგად შეამოწმე, სხვა იქ არაფერია?

ნინო – უი, წერილიც ყოფილა. სულ სისხლშია ამოთხვრილი.

ლევანი – მსმენია, რომ ასეთ დროს წერილს კითხულობენ ხოლმე.

ნინო – გაგიჟდი, სხვისი წერილის წაკითხვა როგორ შეიძლება?

ლევანი – სხვისი რატომ არის, ეს თავები ჩვენ მოგვართვეს. გამოდის, რომ წერილიც ჩვენია.

ნინო – სიტყვას ვერ გაარჩევს კაცი...

ლევანი – მაჩვენე... არაფერი არ ჩანს... თავებს ათვალიერებს.

ნინო – ეს გომბიო რამ მოაწონა?

ლევანი – ნუ განსჯი და არ განისჯები.

ნინო – არა, მე ისე...

ლევანი – მეც ისე...

ნინო თავებს მტვრის ჩვარით გადაწმენდს, სერვანტში აწყობს.

ნინო – აი, ასე...

ლევანი – არა, ეგ თავი ქვემოთ ჩადგი, ეს კი ზემოთ დატოვე.

ნინო – ასე?

ლევანი – მე მგონი, კარგია.

ნინო – მადროვე... ოთახს ათვალიერებს. ეს სერვანტი რაღაც აქ აღარ მომწონს. სხვა კუთხეში ხომ არ გადავიტანოთ?

ლევანი – იყოს...

ნინო – არა, ჯერ ლევანიკოს თავი ცოტა გავასწოროთ. აი, ასე. ახლა მომეხმარე, სერვანტი გადავიტანოთ.

სერვანტი ოთახის სხვა კუთხეში გადააქვთ.

– მე მგონი, აქ უკეთესია.

ლევანი – იყოს, რას ჩივი?

14.

ბაბა შურას ქოხი. შურა ტარაკნებს დასდევს.

შურა – მოდი აქ, სად გარბიხარ? **ფეხით სრესს.** აი, ასე! ახლაც იტყვი მეშინიაო? შენ, შენ სად გარბიხარ? უჰ, გამასწრო... ეს რა კაცი გავიცანი, ა-ა? რა მამულიშვილი, რა ზრდილობიანი, რა განათლებული, რა ერუდირებული, რა ღონიერი, რა ჯენტლმენი, რა ვაჟკაცი, რა თვინიერი. ეს რა სიტყვა-პასუხი ცოდნია. ტარაკანას სრესს. სადა ხართ, დამენახეთ! რა მეცნიერი, შიში რა შიში, სად არის შიში? რა სპეციალისტი? მომარჩინა და ეს არის, ა-ა? სანდრო, შენ გაიხარე, შენა. ვინ იცის, ახლა ჩემი სიყვარულით დამწვარდადაგული სად დაიარება, რა ღობეყორეს ედება, როგორ დნება და ქრება?

15.

ნინოს და ლევანის ქოხი. ისინი ტელევიზორს უყურებენ. ძვირფას ჭიქებსა და თეფშებს შორის დევს ლევანიკოს და ნინიკოს თავები.

ლევანიკოს თავი – ესეც ასე...

ნინიკოს თავი – ესეც ისე...

ლევანიკოს თავი – აი, ასე...

ნინიკოს თავი – აი, ისე...

ლევანიკოს თავი – მასწავლებლებს ალბათ ჰგონიათ, რომ „შატალოზე" ვართ.

ნინიკოს თავი – მოდი, მაკოცე.

ლევანიკოს თავი – ვითომ, კინოში ვართ.

დიდხანს კოცნიან ერთმანეთს

ნინიკოს თავი – რატომ მაინცა და მაინც კინოში, იქნებ ჰგონიათ, რომ სადმე ბაღში ვსეირნობთ და ვკოცნაობთ?

ლევანიკოს თავი – კარგი აზრია!

ნინიკოს თავი – არც კი გრცხვენია. **კოცნის.**

ლევანიკოს თავი – ცხვირი მეფხანება.

ნინიკოს თავი – მერე?

ლევანიკოს თავი – აბა როგორ?

ნინიკოს თავი – არ ვიცი... ასე რატომ მიყურებ. ნუ მიყურებ მასე. ხომ გითხარი, სანამ ხელს არ მოვაწერთ, არაფერი არ გამოგვივა-თქო? ხომ გითხარი?

ლევანიკოს თავი – იქნებ გამოგვივიდეს, შენ საიდან იცი?

ნინიკოს თავი – არა ლევანიკო, არა! არ შემიძლია ასე.

ლევანიკოს თავი – რატომ?

ნინიკოს თავი – დავიღალე უკვე ერთი და იგივეს ლაპარაკით! იმიტომ, რომ სიყვარული სულ სხვაა, იმიტომ, რომ იმიტომ! ხელს რომ მოვაწერთ, მერე ყველაფერი შეიძლება.

ლევანიკოს თავი – შენ საიდან იცი?

ნინიკოს თავი – აბა ისე, ხელის მოწერის გარეშე, ჩემები მომკლავენ.

ლევანიკოს თავი – ვინ შენები? აბა, დედ-მამა არა მყავსო?

ნინიკოს თავი – მშობლებიც არაა მთავარი. ჩვენ ჯერ პატარები ვართ, დაქორწინების უფლებას არავინ მოგვცემს.

გამოდიან სერვანტიდან. ლევანიკო მიჰყავს ეზოსკენ, სადაც საქორწინო სუფრაა გაშლილი.

ლევანიკოს თავი – არ მოგვცემენ უფლებას და ისე გავაკეთოთ!

ნინიკოს თავი – ისე არ შეიძლება, ლევანიკო...

ლევანიკოს თავი – ჩვენ უკვე დიდები ვართ, შეიძლება, ჩვენ უკვე დიდები ვართ!

აღმოჩნდებიან საქორწილო სუფრის თავში. ახალგაზრდებით გაძეძგილი მანქანა, რომელსაც პოლიციელებით დატვირთული მეორე მანქანა მოსდევს, ეზოს რამდენჯერმე გადაკვეთს, შემდეგ ქორწილს შეამჩნევენ და მანქანებიდან სუფრასთან გადმოინაცვლებენ. ახალგაზრდები და პოლიციელები პირისპირ სხდებიან. როგორც ყოველთვის, ისინი სუფრასთანაც თვალს არ აცილებენ ერთმანეთს.

16.

ქორწილია. მთელი სამეზობლოა დაპატიჟებული.

ლევანიკო – მამა, დედა, რატომ მომჭერით თავი? იმიტომ ხომ არა, რომ საყურე მიკეთია, იმიტომ ხომ არა, რომ ნინიკო მიყვარს, იმიტომ ხომ არა, რომ მე თქვენი შვილი ვარ, იმიტომ ხომ არა, რომ თქვენ ჩემი მშობლები ხართ?

გიორგი – ეს ძალიან საინტერესო კითხვაა ჩემო შვილო, მაგრამ მანამდე, მე მინდა ერთი ლექსი წაგიკითხოთ. ყურადღებას ვითხოვ!

ქეთი – გეხუმრეთ შვილო. ხომ ხედავ, რომ თქვენი ქორწილია.

ლევანიკო – რაა?!

ნინიკო – ჩვენი ქორწილია, ლევანიკო.

ლევანიკო – კი მაგრამ, გეკითხათ?..

ნინიკო – გახსოვს რომ ამბობდი დაქორწინების უფლებას არავინ მოგვცემსო, გახსოვს რომ ამბობდი, ჩვენს სიყვარულს ვერავინ გაიგებსო?

ლევანიკო – ესე იგი, შენ ქორწილი გინდოდა, არა?

ქეთი – თუ გინდა შვილო, კარგად დაფიქრდი. ჩვენ არ გაძალებთ.

სანდრო – აბა, ქართული, ქართული!

ნინო საცეკვაოდ გაიწვევს ლევანიკოს. ცეკვავენ.

ნინიკო – გახსოვს, რომ ამბობდი, მე ვერავინ მიგებსო. გახსოვს, რომ ამბობდი, მარტო ვარო, გახსოვს, რომ ამბობდი, სად არის სამართალიო. გახსოვს, რომ ამბობდი, ამ მთავრობის ასე და ისეო, გახსოვს, რომ ამბობდი, არჩევნებში არ მივიღებ მონაწილეობასო...

შურა – რა კარგი წყვილია?

სანდრო – მართლა მოგწონთ?

ლევანიკო – მამა, დედა, რაც არ უნდა მითხრათ, თქვენ, მე და ნინიკოს თავები მოგვჭერით. კარგი, მე თქვენი შვილი ვარ და პასუხს არავინ მოგთხოვდათ, ნინიკოს რას ერჩოდით? რატომ გაუგზავნეთ ამათ ჩვენი თავები? და ეს ამის მერე დედა ხარ, შენ კი მამა?

ცეკვას მორჩებიან.

სანდრო – ყანწით ხელში. ჩემს პრაქტიკაში ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ქალს და მამაკაცს ერთმანეთი უყვართ. არაერთხელ მინახავს ბედნიერი წყვილი და ყოველთვის მიჩნდებოდა სურვილი ჩემთან, შინ მიმეყვანა ისინი, დამეწვინა ტახტზე და ჭერზე რომ დიდი შავი წერტილი მაქვს, იმისთვის ეცქირათ. მოდი, აი, ამ შავ წერტილს გაუმარჯოს, კაკაბაძეებში რომ არის, იმ შავ წერტილს გაუმარჯოს, ჩვენს მამა-პაპას რომ უთქვამს: თუ არ იშრომე, არაფერი გამოგივაო. იმ შავ წერტილს გაუმარჯოს, აგერ, ამ ქუჩაზე რომ მემაწვნე ჩაივლის და მაწონი, მაწონიო, დილით რომ გაგაღვიძებს. გაუმარჯოოს! **ყანწს გამოცლის.**

ეზოში შემოვა ჯარისკაცი, რომელიც არაფერ შუაშია. მას თან სათლი მოაქვს კარტოფილით სავსე. კუთხეში ჩამოჯდება, ერთ კარტოფილს ამოიღებს და გათლას დაუწყებს.

სანდრო – როგორ გადის დრო... რამხელა გაიზარდა ჩვენი ლევანიკო... სულ პატარა ღლაპი მახსოვს. ბიჭო, ცოლი რომ მოგყავს, აბა გვაჩვენე პასპორტი?

ნინო – აბა, ლევანიკო, გვაჩვენე პასპორტი?

ლევანი – გაჩერდი გოგო, რა გაყვირებს?

ნინო – რა მოხდა, მერე?

ლევანი – პასპორტს მოგცემ მე შენ! წამოდი სახლში!

სანდრო – აბა, აჩვენე ხალხს პასპორტი? აგერ, ჩვენი ახალგაზრდები და პოლიციელებიც აქ არიან, სანამ დაედევნებიან ერთმანეთს, აჩვენე პასპორტი?

ლევანიკო დაბნეულია. შარვლის ელვას შეიხსნის.

ნინიკო – ჩაეხუტება. ლევანიკო არ გინდა! სანამ აჩვენებდე, ერთი მათქმევინეთ. მე არ მყავს არც დედა და არც მამა. უფრო სწორად არ მყავდა... როდესაც დავიბადე, დედამ ოცთეთრიან ტომარაში გამახვია და მდინარეში გადამაგდო.

ლევანიკო – მაშინ თეთრები არ იყო.

ნინიკო – თურმე არ ჩავიძირე, იმიტომ რომ ღმერთს არ ნდომებია ჩემი სიკვდილი. მაშინ ღმერთმა მითხრა, რომ მე რჩეული ვიყავი და არ მომკლავდა. მას შემდეგ მე ვიწამე ღმერთი და... ჰოდა, რომ მივცურავდი თურმე მდინარეში, ტალღებმა ნაპირზე გამომრიყა, ზუსტად

უპატრონო ბავშვთა სახლის ღობესთან. ეს დაუჯერებელია, ვიცი, მაგრამ ეს ღმერთმა მითხრა. მე უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე. ჩვენთან ბევრი ცნობილი ხალხი ამოდიოდა...

ახალგაზრდები და პოლიციელები თავთავიანთ მანქანებში სხდებიან, პოლიციელები ახალგაზრდებს გაედევნებიან.

ლევანიკო – შენ მე მომატყუებთქვენ ყველამ მომატყუეთ!.. აღარ მინდა...

ნინიკო – საჩუქრები ამოჰქონდათ, ბევრი საჩუქარი... ჰოდა... ახლა რაც გინდა ისა ჰქენი ლევანიკო...

მეორე მოქმედება

მეორე მოქმედება აქვე მთავრდება.

მესამე მოქმედება

1.

ღამეა. სანდრო ძია ყანწით ხელში ეზოში სეირნობს. იქვე ჯარისკაცი სათლითა და კარტოფილებით სკამზე ზის და თლის.

სანდრო – შენც გვითხარი რამე ჯარისკაცო?

ჯარისკაცი – ჰა?

სანდრო – შემოგვძახე რამე, შენი ჭირიმე.

ჯარისკაცი – უფროსმა სამზარეულოში გამიშვა. მე მუსიკოსი ვარ, გიტარაზე ვუკრავ, როკ-ჯგუფში. კონცერტები გვქონდა და ორი დღით გავენთავისუფლე, ბიძაშვილი მშობიარობს-თქო, მოვიტყუე. კონცერტის ამბავი ტელევიზორმა აჩვენა, დამინახა, დამსაჯა და სამზარეულოში გამომიშვა. კარტოფილებს მათლევინებს, ნახე, რეები გამოვთალე?

კარტოფილებიდან გამოთლილ ფიგურებს აჩვენებს.

სანდრო – შენ ხელოვანი ყოფილხარ, ჯარისკაცო. აი, ამ შავ წერტილს თუ ხედავ?

ჯარიკაცი – აბა?

სანდრო – აი, იქ...

ჯარისკაცი – იქ?..

სანდრო – ჰო...

ჯარისკაცი – მერე?..

სანდრო – მე მინდა, იმ ჯარისკაცს გაუმარჯოს, შავი წერტილის შემხედვარე, კარტოფილს რომ თლის. იმ ჯარისკაცს გაუმარჯოს, აგერ, ჩემს სკამზე რომ ჩამომჯდარა და არაფერ შუაშია.

ჯარისკაცი – ჰოოო...

სანდრო – მეც მინდა რაღაც გითხრა, ჯარისკაცო. მეც მაქვს ჩემი სიმართლე. სულ სხვებს უსმენ და შენ რომ გითხრა რაღაც, რა მოხდება?

ჯარისკაცი – ე-ე, ვარსკვლავი ჩამოვარდა.

სანდრო – აბა?..

ჯარისკაცი – აი, აი...

სანდრო – აბა? ა-ა, დავინახე.

ჯარისკაცი – რა ლამაზია...

სანდრო – ჰო...

ჯარისკაცი – ჰო...

სანდრო – მომისმინე რა, მეც მაქვს ჩემი სიმართლე, რაღაც მათქმევინეთ. მთელი ცხოვრება შავ წერტილს უყურებ და უსმენ, უსმენ და უსმენ.

ჯარისკაცი – რა მუსიკას უსმენ?

სანდრო – ე-ე...

ჯარისკაცი – როგორ მუსიკას უსმენ, რა სტილი გიყვარს?

სანდრო – რა ვიცი...

ჯარისკაცი – მე კიდევ როკი მიყვარს. აუ, რა მაგარია. მე გიტარისტი ვარ. ჯარში გამინვიეს და თეფშები ჩამაბარეს. მთავარია არ დააგვიანო. ადრე თუ მოგვიდა, არა უშავს. დანით სათლზე ურტყამს ცუმ, ცუმ, ცუმ!

სანდრო – ერთი ქალი ჩამივარდა გულში. ძალიან ჩამივარდა. რა ვქნა, რა ვილონო, აღარ ვიცი.

ჯარისკაცი – დალიე.

სანდრო – ვსვამ!

ჯარისკაცი – მაშინ არ ვიცი.

შემოდის გიორგი კალმითა და ფურცლებით ხელში. რითმას ეძებს.

გიორგი – ჩვენ ვართ გვარდია. ჩვენ არ მოვითმენთ მეტს... **შეამჩნევს სანდრო ძიას და ჯარისკაცს.** ეს ჯარისკაცი რა შუაშია, სანდრო ძია?

სანდრო – ყველანი წარსულიდან მოვდივართ. ღვინო გათავდა და ვსაუბრობთ.

გიორგი – რა ჰქენი. მოგვარდა თქვენი საქმე?

სანდრო – რომელი საქმე?

გიორგი – არ ვიცი? ისე გეკითხები.

სანდრო – არა.

გიორგი – ამ ბოლო დროს ლექსების წერა დავიწყე. ჩემი რძალი ფეხმძიმედაა, იმას მივუძღვენი.

სანდრო – ჰო, ჰო, აბა გამოუშვი.

გიორგი – ჩვენ ვართ გვარდია, ჩვენ არ მოვითმენთ მეტს. ჩვენ ვართ გვარდია, ჩვენ ვიცავთ ყოველ მეტრს.

ჯარისკაცი – ლექსისთვის მადლობა.

სანდრო – რა ჰქენი, შენ მოაგვარე შენი ამბები?

გიორგი – რომელი ამბები?

სანდრო – რა ვიცი? მეც ისე გეკითხები.

შემოდიან ნინო და ლევანი.

ლევანი – გაიგე ახალი ამბავი? თურმე გიორგის უთქვამს, რომ ხიზილალაში ბევრი ვიტამინიაო. ისინი შვილიშვილს ელოდებიან...

ნინო – აღარ შემიძლია, ლევან! რატომ არის ცხოვრება ასე მოწყობილი? როცა გშია ადამიანს – შეჭამ, როცა გეძინება – დაიძინებ, როცა დაიღლები – დაისვენებ, როცა მოგბეზრდება – დაიმალები, როცა ბედნიერი ხარ – უბედური ხარ. რატომ არის ასე?

ლევანი – ალბათ იმიტომ, რომ ხიზილალაში ბევრი ვიტამინია. გამარჯობა მეზობლებო! ეს ჯარისკაცი ვინ არის?

ნინო – მე კი მგონია, რომ მათეთრებელი უკეთესად ათეთრებს თეთრეულს, ვიდრე ლილა.

გიორგი – ეს ჯარისკაცი, ჩემი ლევანიკოს და ნინიკოს ქორწილშიც იყო. მე მგონი, არაფერ შუაშია.

სანდრო – მე ვიცი ეგ ვინც არის – ჯარისკაცია.

2.

ბაბა შურას ქოხი.

უფოელების ხმა – შურა, შურა, როგორ გესმის ჩვენი. გვიპასუხე, ჩვენ უფო ვართ, შურა, „პრიომ"!

შურა – ვაიმე, რა ვქნა ახლა მე? რა ვიღონო? რომ აღარ მინდა წასვლა, რომ აღარ მეშინია ტარაკნების და ვირთხების და მწერების? რომ მიპოვნა იმ კაცმა და მეც რომ ვიპოვნე, რომ მიყვარს, მაგრამ ჯერ რომ არ იცის და რომ გამოვუტყდები, რომ მთხოვოს ხელი და უარს რომ ვერ ვეტყვი, რომ წამიყვანონ ისევ, რა ვქნა მერე?

უფოელების ხმა – შურა, ვიცით რომ სახლში ხარ. გვიპასუხე: შურა, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ. ახლა თქვენ დიდი განსაცდელი გელით და მოვალთ და წაგიყვანთ, თორემ ვერ გადაურჩები. შურა, გვიპასუხე, „პრიომ"!

შურა – ვაიმე, სანდროს უნდა დავუძახო, თორემ... სანდროს რომ მოერევიან და რომ მომიკლავენ, მერე ვინ მეყოლება მე უბედურს მხსნელი და გადამრჩენელი, ვინ დამლოცავს ყოველ დილით ყანაზეა, ვინ მომართმევს ცხელ საუზმეს ლოგინიხ, ვინ დამისხამს ჭუჭყიან თავზე წყალს, ვინ ამოიტანს პურს. ვინ დამისრისავს კოსმოსურ ძუძუებს, ვინ, ვინ თუ არა სანდრო?!

3.

დილაა. ეზოში სიმღერ-სიმღერით შემოგორდება ჯადოქრის ფაეტონი, შადრევანს წრეს შემოუვლის და გაჩერდება.

ჯადოქარი – მე ჯადოქარი ვარ. მე ჯადოქარი ვარ! გაიღვიძეთ, გამოფხიზლდით, გამოდით კარში. თქვენთან ჯადოქარი მოვიდა! მე გახლავართ მსოფლიოში სახელგანთქმული ჯადოქარი. რომელი ქვეყანა არ შემომივლია და არ მინახავს, რა ხალხს არ შევხვედრივარ, ვყოფილვარ ცხრა მთის იქით და ცხრა ზღვის იქით. ვისაც არ შევხვედრივარ, ყველანი ამტკიცებდნენ, რომ ჩემისთანა ჯადოქარი არ უნახავთ. ბევრგან შავბნელ ძალად შერაცხული, ბევრგან კი მხსნელად მოვლინებული ჯადოქარი თქვენს ქუჩაზეა. თქვენ კი გძინავთ. თფუ! სულ რამდენიმე თეთრად თქვენ გახდებით არაჩვეულებრივი წარმოდგენის მომსწრე, რომელსაც თავად ბატონი საოცრება ჰქვია. სულ რამდენიმე თეთრად თქვენ გახდებით არაჩვეულებრივი წარმოდგენის მომსწრე, რომელიც არასდროს დაგავიწყდებათ. სულ რამდენიმე თეთრად თქვენ ნახავთ წარმოდგენას, რომლის წარმოდგენაც ძნელია...

ნელ-ნელა ქოხებიდან გამოდიან ქეთი და გიორგი, ლევანიკო და ორსული ნინიკო, ნინო და ლევანი, სანდრო ძია, რომელსაც ხელში დიდი ჯვარი უჭირავს და „თფუი ეშმაკს" გაიძახის, გამოდის ბაბა შურა და ჯარისკაციც, თუმცა იგი არაფერ შუაშია.

– ასე რომ, ბატონებო და ქალბატონებო, მეზობლებო და ნათესავებო, კარგებო და ცუდებო, სულელებო და ჭკვიანებო – ჯადოქარი გესტუმრათ! ხელში ჯოხი უკავია, რომელსაც მოულოდნელად ნაჭრად აქცევს. ჰოპ!

სანდროს გარდა ყველანი ტაშს დაუკრავენ.

ნინო – „ფოკუზნიკი" ყოფილა!

ჯადოქარი – ახლა კი, გთხოვთ გაიღოთ მოწყალება და ვისაც რა საშუალება გაქვთ, აი, ამ ქუდში ჩაყაროთ. გახსოვდეთ, რაც უფრო მეტს გაიმეტებთ, მით მეტს მიიღებთ...

სანდრო – თფუი ეშმაკს!

ჯადოქარი – შურა, შენ ის შურა არა ხარ, მფრინავ თეფშებს რომ ეძახდი და

სანდრო – თფუი ეშმაკს!

ჯადოქარი – შურა, შენ ის შურა არა ხარ, მფრინავ თეფშებს რომ ეძახდი და რომ არ ჩანდნენ და ახლა რომ გამოჩნდნენ და შენ რომ წასვლა აღარ გინდა, იმიტომ რომ სანდროა თუ ფსიქოლოგი, ის რომ მოგეწონა?

შურა – სანდრო, მიშველე.

სანდრო – **შურას მკერდით გადაეფარება.** არ მიეკარო, სატანა!

ჯადოქარი – შენ კი, სანდრო ხარ თუ ფსიქოლოგი, რაც შურა გაიცანი, მას შემდეგ სულ სვამ და იმის გეშინია, რომ წვიმა არ მოვიდეს, ქოხში არ ჩამოვიდეს და ის შავი წერტილი არ წაგიშალოს.

სანდრო – **ჯვრით ხელში** განვედ ჩვენგან შორს, ურწმუნო და უმაქნისო, ეშმაკისეულო და ანარქისტო. თფუი ეშმაკს!

ჯადოქარი ფაეტონიდან ხმალს ამოიღებს, ნაჭერს გადააფარებს, შემდეგ მოაძრობს და ხმლის ნაცვლად ბუშტი გაჩნდება. ბუშტს ნინიკოს მიაწვდის. სანდრო ძიას გარდა, ყველა ტაშს დაუკრავს.

ქეთი – რისი გეშინია, სანდრო ძია?

სანდრო – რა ვიცი, კინოში მინახავს, რომ ჯვარს ანახებენ ხოლმე და მათაც ეშინიათ.

ჯადოქარი – შენ, გიორგი, ქეთის მეუღლევ, ამ ბოლო დროს მუზა გაწვალებს და შენი ძმის ცოლს ყვარობ. შენ კი ქეთინო, სიყვარული გკლავს შენი დის ქმრისა. ახლახან ბიჭს ცოლი მოაყვანინეთ.

ქეთი – დედა?! საიდან იცის?..

ჯადოქარი – შენ ლევან, ბედნიერი ხარ შენს ცოლთან და ვერ შეგირგია. შენ კი, ნინო მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი არ გიჩნდებათ, მაინც ცდილობთ და არ გამოგდით. გინდათ დაგეხაროთ?

ნინო – მინდა, როგორ არა!

სანდრო – თფუი ეშმაკს!

ლევანი – რას ამბობ გოგო, წამოდი ახლავე სახლში, წამოდი სახლში!

ნინო – რა ვთქვი ისეთი, ლევან? არ მინდა სახლში, დავრჩეთ რა?

ჯადოქარი – შენ კი, უპატრონო ნინიკო, ტყუილებით გატენილო და ეშმაკო, ცბიერო... არაფერი არ გებადა და ახლა ერთბაშად რომ ყველაფერი შეიძინე: დედა, მამა, ქმარი, შვილი და სახლი!

ნინიკო – ლევანიკო, მეშინია...

ჯადოქარი – შენ, შე უთავო ლევანიკო, მაგ უტვინო თავი რომ მოგაჭრეს და ამ მშიერ ნინიკოს რომ გაგაყოლეს, თფუი, მართლა ეშმაკს.

სანდრო – თვალთმაქცო, თვალთმაქცო!

ლევანიკო – დედააა...

ჯადოქარი – ვინ გამომრჩა? **შეამჩნევს ჯარისკაცს** შენ აქ [illegible]

ჯარისკაცი – მე [illegible] მაქვს და გთხოვთ ნუ მატკენთ გულს.

ჯადოქარი – ეს აქ არ უნდა ყოფილიყო?

სანდრო – არის და?

ჯარისკაცი – ძალიან გთხოვთ, ნუ მატკენთ გულს.

ჯადოქარი – საიდან დავიწყოთ?

ნინო – რა, ბატონო?

ჯადოქარი – რა და, ყველა თქვენს გასაჭირს ერთი ხელის მოსმით მოვაგვარებ. მხოლოდ რამდენიმე თეთრად.

ლევანი – კი ბატონო...

ფულს ქუდში უყრიან.

ქეთი – რა საინტერესოა...

შურა – სანდრო, არ დამტოვო...

სანდრო – რა უნდა ჰქნა ვითომ, რა, სახურავზე კრამიტს დამიგებ, თუ წაგიყვანო ახლა შავ წერტილთან და მოგაყოლო ვინც ბრძანდები?

ჯადოქარი – ყველამ გადავიხადოთ. წარმოდგენა უფასო არ არის.

ნინიკო – მე უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე, მე სულ მშია და ფული არა მაქვს. თუ შეიძლება, ისე გიყურებთ?

ლევანიკო – დედა, მეშინია...

ქეთი – მიდი, ბიჭო ცოლთან!

ლევანიკო – დედააა...

ჯადოქარი – აბა, საიდან დავიწყოთ? **ფულს ჯიბეში შეინახავს. შემდეგ ქუდში ხელს ჩაყოფს და მელიას ამოიყვანს.** უჰ, ბოდიში. **ხელახლა ჩაყოფს და ბაჭიას ამოიყვანს.**

დამსწრენი ტაშს დაუკრავენ.

სანდრო – აი, ამ ჯარისკაცით დავიწყოთ!

ნინო – ჯერ ქალები და ბავშვები გაგვატარეთ.

ჯადოქარი ჯარისკაცთან მიდის და ერთი ხელის მოსმით გააქრობს.

ჯარისკაცი – მე რა შუაშ...

ყველანი ტაშს უკრავენ.

ჯადოქარი – ვინ იქნება შემდეგი მოხალისე? ვის უნდა ყველა პრობლემის მოგვარება ერთი ხელის მოსმით?

სანდრო ძიას გარდა ყველანი „მე, მე"ს გაიძახიან.

სანდრო – მოიცათ, ხალხო, ჯერ გავიგოთ, იმ ჯარისკაცს რა უქნა ამ სატანამ.

ჯადოქარი – რიგ-რიგობით...

ყველანი „არა ჯერ მე, არა ჯერ მე"ს ყვირიან.

ჯადოქარი – ასე მუშაობა მე არ შემიძლია. დაწყნარდით და ისე. დამშვიდდით. რიგ-რიგობით. არავინ გამომრჩებით,

ნუ გეშინიათ. ყველას მოგიწევთ. დამშვიდდით.

სანდრო – ხალხო, დაიშალეთ, დაიშალეთ, თორემ ყველას გაგაქრობენ!

ხმაური იზრდება, ყველას პირველობა უნდა. ჯადოქარი ერთი ხელის მოსმით ყველას აქრობს სანდრო ძიას გარდა. სიჩუმეა.

სანდრო – ვაიმე!

ჯადოქარი – შენ რატომ არ გაქრი?

სანდრო – მიხსნა, მიხსნა ჯვარმა.

ჯადოქარი – დადე ეგ ჯვარი.

სანდრო – არ გინდა, რა? რა გინდა ახლა ჩემგან? იცი, მე ისეთ სადღეგრძელოს დავლევ, მოდი, შენ გაგიმარჯოს, შენ საქმეს გაუმარჯოს, ასე ლაზათიანად რომ ასრულებ და ნაკლს რომ ვერ უპოვნი. მოდი, იმ კეთილ დახვედრას გაუმარჯოს, ჩვენ რომ მოგიწყეთ. იმ სიყვარულს, იმ გამარჯვებას და ჩახუტებას გაუმარჯოს, დიდი სტალინი რომ ეტყოდა – ღვინო თუ არ დალიე, დაქმარდებაო, მოდი, ჩემო ჯადოქარო, შენ გაგიმარჯოს, შენ ოჯახს გაუმარჯოს, შენს ცოლ-შვილსა და მშობლებს, თუ სახეზე გყავს, იმათ გაუმარჯოს, თუ წვრილ-შვილის პატრონი ხარ, შენ პატარებს გაუმარჯოს, ჩემო ჯადოქარო... შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ გაიხარე და გამრავლდი. კაი ქართული სუფრის მოყვარული იქნები, კაი ქეიფის და...

ჯადოქარი გუდა-ნაბადს კრეფს, ფაეტონში ჯდება და მიდის. გამოჩნდებიან ახალგაზრდები მანქანით, რომელთაც სროლა-სროლით პოლიცია მოსდევს. ისინი ეზოს გადაჭრიან და მიიმალებიან. სანდრო ძია ქოხში შერბის. ისმის მფრინავი ობიექტის ხმა, ის ახლოვდება.

დასასრული